სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია.

წელიწადი პირველი.

ბუთშაბათი, დეკემბრის 26, 1918 წ.

შრომა

ფასი ათი შაური.

გაზეთი გამოდის ყოველ-დღე გარდა უქმეების შემდეგ დღეებისა

გაზეთის ფასი:
ერთი თვით 10 მან., ცალკე ნომერი ყველგან ა თ ი შაური.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ.

სამგლოვიარო განცხადება:
12 საათამდის—15 მან., შემდეგ 20—მ.

რედაქცია ღიაა დილის 10—2 ს.
რედაქციასთან პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—12 ს.

ხელის მომწერლებმა ფული, შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ. Тифлис. Контора газ. „Шрома", Баронская ул., № 16. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს კანტორა ვერ მიიღებს. კანტორა ღიაა დილის 10—2 ს. და საღამოს 5—7 სათ. რედაქციის სახელზე გამოგზავნილი წერილები უნდა იწერებოდეს ცალ გვერდზე, სუფთათ და გარკვევით. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

მისამართი: Тифлис, Редакція „Шрома", Барон. ул. № 16.

№ 109 ორგანო საქართველოში მოქმედ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 109

ნომრის შინაარსი.

წერილები:

მეთაური. ავანტიურისტები გაშიშვლდენ.
სანი. ინტერნაციონალი და საზავო კონფერენცია.
ანკანი. ბრძოლა თავისუფლებისათვის.
ი. თევზაძე. ბრძოლის ველზე დახოცილების ხსოვნას.
— —
საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის მეორე ყრილობა.
— —
ოცდაორ გმირთა დაკრძალვა.
— —
ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე.

ცნობები:

მოკავშირეთა წარმომადგენლათ უკრაინაში დაინიშნა გენერალი ლეჟე.
ეკატერინოსლავი გარშემორტყმულია საბჭოთა ჯარების მიერ.
გენერალ მაკენზენის ჯარს იარაღი ჰპყარეს.
პსკოვში ბოლშევიკების საწინააღმდეგო მოქმედებაში მონაწილეობის მიღებისათვის დახვრიტეს 406 გერმანელი.
დამოუკიდებელმა სოციალისტებმა დაადგინეს არ იმუშაონ მემარჯვენე სოციალისტებთან.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-დღიურ გაზეთ

„შრომა"-ზე

მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა, № 16, გაზ. „შრომა"-ს კანტორა.

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლოვსკაია.
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიცურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამის 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ., სახლი № 119 ტელ. 8—26.

ექიმი ი. კ. აბაკელია
შინაგანი ავადმყოფობა.
განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულ მკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.
ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველგვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 ს. პეტრე დიდის ქ. № 26 ტელ. 5—86

გაზეთი „შრომა"-ზე

თანახმად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა, სდგება მოხალისეთა რაზმები, სადაც საქართველოს ყველა მოქალაქეს შეუძლია ჩაწერა, მათ გარდა, რომლებიც ეხლა უკვე მსახურებენ საქართველოს ლაშქარში და გარდა ეკ.-კაცთა, რომლებიც მოწვეულნი არიან.

წარსულ ჯარისკაცად ითვლებიან 1892, 1893, 1894, 1895, 1896, 1897 და 1898 წლებში დაბადებული ახალგაზრდები.

არსებობს შემდეგი პირობები: 1—ყველა მოხალისეს, რომელიც ომსა და სხვა დაწესებულებებში მსახურობს—ადგილი შეენახება 2. სამხედრო მოქმედების შემდეგ ისინი განთავისუფლებული იქნებიან. 3. უბედურ შემთხვევაში მათი ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან.

რაზმების შედგენა დავალებული აქვს გენ.-მაიორ მაღალაშვილს, გენ.-მაიორ ფურცელაძეს; (გიორგი) პოლკოვნიკებს: კარგარეთელს, ბ. ფუკერველს, დ. ქარცივაძეს და ტ. ართმელაძეს.

ჩაწერა შეიძლება ბარიათინის ქუჩაზე, სამხედრო სამინისტროში ყოველ დღე დილის 9 საათიდან--14 საათამდე და 16 ს.—18 საათამდე.

მოხალისეთა რაზმების ხელმძღვანელი
7—4 გენერალ-მაიორი: **მაღალაშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენო!

მოიხადეთ თქვენი ვალი ჩვენი ერისა და დამოუკიდებლობის **დამცველთა წინაშე.** მათი თავგანწირული ბრძოლის მეოხებით ჩვენს ქალაქებში მშვიდათ მყოფნო. **მიაწოდეთ სულიერი საზრდო ჩვენს გმირებს** ფრონტზე მებრძოლ—რესპუბლიკურ ჯარსა და გვარდიას.

სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილების თაოსნობით თბილისის ქუჩებში დაღვმულ ყუთებში ჩაუშვით ახალი, ან წაკითხული **ჟურნალ-გაზეთები,** რომელიც ყოველ-დღე ეგზავნება ჩვენს დამცველთ ფრონტზე. **ეს ხომ ყველას შეუძლია.**

სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციის
თავმჯდომარე სერ. ფორეოლიანი.

ძ. თბილისი, დეკემბრის 26.

ავანტიურისტები გაშიშვლდენ. ყოველთვის, როდესაც ომი იწყებოდა, ბუნებრივად ისმებოდა კითხვა იმის შესახებ, თუ ვინ აღმართა პირველად ხმალი, ვინ აწარმოებს შეტევას და ვინ ადგია მოგერიებითი პოლიტიკას. ჩვენთვის, ინტერნაციონალისტებისათვის, ამას არა აქვს, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა. ომი, როგორიც არ უნდა იყოს ის—შეტევითი თუ მოგერიებითი,—არის უდიდესი უბედურება, რომელიც ატყდება თავს მშრომელ დემოკრატიას და რომელიც ძირს უთხრის ერთა მორის სოლიდარობისა და ძმობა-ერთობის იდეას. ამიტომ ომი, ამტყდარი სხვა და სხვა სახელმწიფოებს შორის, ჩვენს თვალში შეიძლება დაფასდეს მხოლოდ როგორც ბოროტება. მაგრამ იმათთვის, ვინც ეძებს ომის ავტორებს, მის მთავარ დირიჟორებს, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ფაქტებს, რომლებიც ნათელს ჰფენენ ამა თუ იმ მთავრობის წინასწარ ნაბიჯებსა და ზომებს.

ამ მხრით მეტად საინტერესოა ის „დოკუმენტი", რომელიც მიუღია ჩვენს შტაბს და რომელიც ამჟღავნებს ერევნის მთავრობის ცბიერ პოლიტიკას.

დოკუმენტიდან აშკარაა, რომ ერევნის მთავრობას ჯერ კიდევ 13 დეკემბერს გაუცია ბრძანება, რომ სომხეთის რეგულიარულ ნაწილებს დაეკავებია ლორი და ბორჩალო. იქ სამხედრო მოქმედების მთელი გეგმაა წამოყენებული. ამნაირად დღეს უდაო ჭეშმარიტებათ უნდა ჩაითვალოს, რომ **ომი ერევნის მთავრობამ დაიწყო.**

მან ჯერ კიდევ სამი თვის წინედ მოახდინა მობილიზაცია, ის ემზადებოდა ომისათვის.

ამავე დროს უდაო ჭეშმარიტებათ უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ჩვენი მთავრობა ომისათვის არ ემზადებოდა და, თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ შეცვლილ საერთაშორისო კონიუნქტურას, მას არც შეეძლო დღევანდელ პირობებში ომის წარმოება მიზნათ დაესახა.

დღეს ჩვენი რესპუბლიკა უკანასკნელ კრიზისს განიცდის. თუ მისი დამოუკიდებლობა იცნეს მოკავშირეებმა, საქართველოს სახელმწიფოებრივი სიცოცხლე უზრუნველყოფილია. ასეთ პირობებში განა შეეძლო ჩვენს მთავრობას ომში ჩაეთრია ქვეყანა?—რა თქმა უნდა, არა. ჩვენ ვსთქვით და ვიმეორებთ: დღეს ომის დაწყება შეეძლო მხოლოდ იმ პარტიას, მხოლოდ იმ მთავრობას, რომელსაც არა სწამს არც თავისი და არც სხვისი დამოუკიდებლობა. ამას საესებით ადასტურებს ზემოხსენებული დოკუმენტი.

ინტერნაციონალი და საზავო კონფერენცია.

როგორც გაზეთების ცნობებიდან სჩანს, საზავო კონფერენცია გაიხსნება 15 იანვარს. იქ უნდა გადაწყდეს ბედი მრავალი ერების, იქ გამოიჭრება მსოფლიოს ახალი ქარტა. კონფერენციამ უნდა მისცეს ქვეყანას ზავი.

როგორი იქნება ეს ზავი? არის თუ არა გარანტია, რომ ის იქნება სამართლიანი, მისაღები ყველა ერის დემოკრატიისათვის, თუ ის იქნება ზავი, რომელსაც გამარჯვებულნი დამარცხებულთ უკარნახებენ?

აი კითხვები, რომლებიც ბუნებრივად ისმება, როდესაც საზავო კონფერენციაზე ვლაპარაკობთ.

ომის დაწყებიდან იყო ერთი აზრი, რომელიც ამბობდა: „Война кончится въ ничью". თუ მხედველობაში მივიღებთ ძალთა დღევანდელ განწყობილებას, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს აზრი, ეს დებულება ომის შესახებ არ გამართლდა. აშკარაა, როდესაც გერმანული კოალიცია ასე საშინლად დაამარცხა ინგლისის კოალიციამ, შეუძლებელია ვსთქვათ, რომ ომი გათავდება „въ ничью", რადგან ეს დებულება გულისხმობდა ერთგვარ სამხედრო თანასწორობას. ფიქრობდენ, რომ ერთი რომელიმე კოალიცია ისე ვერ დაამარცხებს მეორეს, რომ ეს დამარცხება სრული კაპიტულიაციით გათავდესო. დღეს, პირიქით, ერთი კოალიციის მხარეზეა სრული გამარჯვება, მეორემ სრული კაპიტულიაცია გამოაცხადა. ასეთ პირობებში თქმა, რომ საერთაშორისო კონფერენცია მისცემს ქვეყანას სამართლიანსა და დემოკრატიულ ზავს, —შეუძლებელია.

მართალია მოკავშირეთა დიპლომატები და მთავრობები თავიდან აცხადებდენ, რომ ისინი იცავენ უფლებასა და სამართლიანობას, მაგრამ ცხოვრებაში ეს ჩვენ არ გვინახავს და არცა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ტრიუმფატორი იმპერიალისტები დაიცავენ სამართლიანობასა და უფლებას.

ცხადია, დემოკრატიას არ შეუძლია იფიქროს, თითქოს საერთაშორისო კონფერენცია, რომელზედაც დირიჟორებად გამოვლენ გამარჯვებული კოალიციის იმპერიალისტები, განახორციელებს მის საზავო ფორმულას და მისცემს ქვეყანას დემოკრატიულსა და სამართლიან ზავს.

ეს იქნებოდა დიდი გულუბრყვილობა. მაშასადამე, საერთაშორისო დემოკრატიის წინაშე დგას უდიდესი მნიშვნელობის საკითხი. საკითხი იმის შესახებ, თუ რა გზით, რა საშუალებით შესძლებს ის მოახდინოს გავლენა გამარჯვებულ იმპერიალისტთა კონფერენციაზე, რათა უკანასკნელის მუშაობა და დადგენილებანი დააყენოს დემოკრატიზმისა და ერთა შორის სოლიდარობის ნიშნის ქვეშ. აშკარაა, ომის ფსიხოზით და შოვინისტური ვაკხანალიით დაუძლურებულმა და დაშლილმა ინტერნაციონალმა უნდა მოიკრიბოს უკანასკნელი ძალები, რათა ზავის საქმეში აქტიური ჩარევით ფრთები შეაკვეცოს გამარჯვებულ იმპერიალისტებს.

თუ რა ფორმებში და რა საფუძველზე აღსდგება ინტერნაციონალი—ეს რთული საკითხია და, როგორც ასეთი, ის მომავლის საქმეა, მაგრამ ერთი კი აუცილებელია დღესვე: ზავის საკითხში უნდა მოხდეს ინტერნაციონალის სხვა და სხვა რაზმების მოქმედებათა და ტაქტიკის სრული კოორდინაცია. იმპერიალისტთა მთლიან ფრონტს უნდა დაუპირდაპიროთ ინტერნაციონალის მთლიანი ფრონტი, რამდენათ ეს შესაძლებელია იმ ანგრევისა და დამარცხების შემდეგ, რომელიც წილად ხვდა ინტერნაციონალს მისი ულირსი წევრების შოვინისტური პოლიტიკის გამო. იქ, სადაც იმპერიალისტები ხარხარითა და ზეიმით დემოკრატიის დაუკითხავად და წინააღმდეგ მისი სასიცოცხლო ინტერესებისა, მოისურვებენ ქვეყნის ბედის გადაწყვეტას, უნდა გაისმოდეს ინტერნაციონალის მედგარი ყიჟინა.

მხოლოდ დემოკრატიას შეუძლია იბრძოლოს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისათვის და ამ ბრძოლას უნდა გაუძღვეს ინტერნაციონალის ის რაზმები, რომლებიც არ შეუპყრია ომის ფსიხოზს და კაციჭამია შოვინიზმს. **სანი.**

გრძოლა თავისუფლებისათვის.

საქართველო-სომხეთს შორის ომი სწარმოებს. იღვრება მრავალ საუკუნოებით ერთად, მეგობრულათ მცხოვრებ ძმათა სისხლი. შეუბრალებელი მახვილი მუსრს ავლებს ორივე ქვეყნის მებრძოლთ. საშინელი მდგომარეობაა. ომი თავისთავად საზარელია, მაგრამ უფრო საზარელი და საშინელია იგი, როცა

ბრძოლა სწარმოებს მეგობარ ერთა შორის.] სომხები შეეზარდენ ჩვენ ცხოვრებას, მათთან ჩვენ გაბმული გვაქვს მჭიდრო კავშირი. მაგრამ დღეს, სამწუხაროთ, ეს ერთობა რამოდენიმეთ შეირყა, ორივე ერის დემოკრატიას, მშრომელ ხალხს დიდი გამჭრიახობა, დიდი დაკვირვება და მუშაობა დასჭირდება ომის სალიკვიდაციოთ და ძველი ურთიერთობის აღსადგენად.

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ორ მეზობელ სახელმწიფოთა შორის ბრძოლის გაჩაღებაში დაშნაკცაკანთა პარტია. ეს პარტია მუდამ ბოროტ სულათ ევლინებოდა სომხის დემოკრატიას, მშრომელ ხალხს.

საქართველოს მთავრობის სამართლიანი წინადადება კონფერენციის და არბიტრაჟის შესახებ სადავო საკითხების გამოსარკვევათ ყურათ არ იღო დაშნაკელთა მთავრობამ, მშვიდობიან და დემოკრატიულ გზას, მან არჩია გზა მოღალატეობისა და გამცემლობისა.

სომხეთის შოვინისტური მთავრობა მოწადინებულია გაანადგუროს ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფო, ძირი გამოუთხაროს ჩვენს დამოუკიდებლობას და ანარქიის ცეცხლში გახვიოს ჩვენი ქვეყანა.

ამ შემთხვევაში ცხადია, ყოველი ჭეშმარიტი დემოკრატი და გულწრფელი სოციალისტი ვალდებულია დაიცვას სისხლით მოპოებული დემოკრატიული წყობილება და ზურგი გაუმაგროს ჩვენ დამოკიდებლობას. ჩვენ ვიცავთ რევოლიუციის მონაპოვართ, ჩვენ არ გვსურს ომი, ჩვენ მხოლოდ თავდაცვას ვადგივართ. ჩვენ მხარეზეა სიმართლე.

ომის ცუდი შედეგები აშკარაა. მას შეუძლია შუღლი ჩათესოს მოძმე ერთა შორის. ამიტომ სომხის დემოკრატია ვალდებულია ყოველივე საშვალება იხმაროს დაშნაკელ-ავანტიურისტთა ასალაგმავათ.

ქართველი დემოკრატია თავის მხრივ არ დაზოგავს საშვალებებს რომ სადავო საკითხები სამართლიანი გზით გადაიჭრას.

დღეს ჩვენ აქტიურ თავდაცვის გზას ვადგივართ და ვერვინ იტყვის, რომ ჩვენ უსამართლობას ჩავდივართ. როდესაც რევოლიუციას და თავისუფლებას საფრთხე მოელის, ყოველი შეგნებული დემოკრატი ვალდებულია თავის არსებით წინააღუდგეს ამ საფრთხეს.

ანკანი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ.

თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით აღბულალსა და მანგლისში საგანგებო ცხენოსანი რაზმი გაიგზავნა, ამ მაზრებში მობილიზაციის წესიერად მოსახდენად.

⊖ **ბათალიონის ჩამოსვლა.** თელავიდან საგუბერნიო ბათალიონი ჩამოვიდა. ბათალიონი გენერალ-გუბერნატორის განკარგულებაში დარჩება.

სომხების დაპატიმრობა. გენერალ-გუბერნატორის ცნობით, ვინაიდან სომხები ფარულ კრებებს ახდენენ თბილისში, მიღებულ იქნა ზომები, რის შემდეგაც სხვა და სხვა უბანში ფარულ კრებების დროს დიდძალი სომხობა შეიპყრეს. პირველი წყება დაპატიმრებულთა რიცხვით 400 კაცი უკვე ქუთაისში გაიგზავნა.

⊖ **მოკავშირეები ჩვენში.** მოკავშირეთა მისიის მეთაური ჯერ თბილისში არ ჩამოსულა. თბილისში ყოფ მოკავშირეთა ჯარების უფროსია პოლკოვნიკი ჟურდანი.

○ **თბილისში ჩამოსული** ენ. ტომსონის ჯარების შტაბის უფროსი პოლკოვნიკი სტოკსი გაბრუნდა ისევ ბაქოში.

⊖ **ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა** ინგლისის ბაქოში ყოფილი მაიორი მაკდონალდი.

◐ **ჟურნალ-გაზეთები ჯარისათვის.** სახალხო უნივერსიტეტის ქართულმა სექციამ შემდეგი მოწოდება გამოსცა: „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენო! ჩვენი მეომრების თავგანწირული და მედგარი ბრძოლა ფრონტზე უზრუნველყოფს თქვენ მშვიდობიან ცხოვრებას ზურგში. გახსოვდეთ ეს და დაეჩქარეთ თქვენი წვლილის შემოტანა, მიაწოდეთ ფრონტს სულიერი საკვები: შემოსწირეთ ახალი და წაკითხული ჟურნალ-გაზეთები ფრონტზე გასაგზავნათ. ჩააგდეთ ისინი თბილისის ქუჩებზე დადგმულ სპეციალურ ყუთებში. ეს თქვენი მოვალეობაა“.

○ **დაპატიმრება.** სომხეთთან ომის გამო სხვა დაშნაკელთა რიცხვში დააპატიმრეს აგრეთვე ქალაქის საბჭოს ხმოსნები ზარგარიანი, ტერსტეფანოვი, მატინიანი და ქ-ნი ტატევოსიანცი.

◐ **ყრილობა.** საქართველოს ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტმა დაადგინა, მოიწვიოს თბილისში საქართველოს ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა ზურგში მედიკოსანიტარულ და სასანიტარო-სატრანსპორტო დაწესებულებათა და რაზმთა ორგანიზაციის საკითხის განსახილველათ.

○ **დეპეშა მეჯვრისხევიდან.** 22 დეკემბერს, მეჯვრისხევის კოოპერატივის არაჩვეულებრივმა კრებამ გაითვალისწინა, რა მოულოდნელი მოღალატური თავდასხმა უმადურ მეზობელ სომხებისა საქართველოზე და მათი წადილი მოსპონ საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება ერთხმად დაადგინა: მიესალმოს საქართველოს მოჭირნახულე პარლამენტს, მთავრობას ჩვენ გმირულ ლაშქარს და უსურვოს მათ მტრებზე ბრწყინვალე გამარჯვება. ამასთანავე აღუთქვამს მთავრობას დახმარებას ყოველ საქმეში, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების გამტკიცებისაკენ. ამავე კრებაზე კოოპერატივის მოგებიდან გადადებულ იქმნა მთავრობის განკარგულებაში ათი ათასი მანეთი, (10,000 მ.) მამაც ლაშქრის დასახმარებლად.

კრების თავმჯდომარე **შათია შვილი.**

⊖ **დეპეშა პარლამენტის თავმჯდომარეს ჩხეიძეს საჩხერიდან.** საჩხერის ცენტრალური ფრონტის დამხმარე კომიტეტმა, რომელშიც შედიან ყველა პარტიების და საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენელნი მიზნათ დაისახა ბრძოლის ველისათვის დახმარება, მიწოდება სურსათის, ტანისამოსის და ფულის. ამასთან ერთად სალამს მიუძღვნის საქართველოს დემოკრატიის თავდადებულ ბელადს.

გამოვთქვამთ სრულ იმედს, რომ საქართველოს დემოკრატია შეძლებს საერთო ძალ ღონით კვლავ შეინარჩუნოს რევოლიუციის მონაპოვარი. საჩხერე თავის რაიონებით ერთი კაკივით გამოვა მტერთან საბრძოლველათ.

ძირს არარატის ავანტიურისტები.

თავმჯდომარე სევერიან ჩოგოშვილი, თავმჯდომარის მოადგილე ანეტა იურკევიჩი.

◐ **საგანგებო რაზმმა შეიპყრო:** არტილ. კაპ. კარტაშევი, პოლკ. პრეტამონოვი, გენ. ხაჩატუროვი, პოლკ. დოლუხანოვი, არქიმანდ. ბენიკი, არტ. არუთინიანცი, ავაკ. პოდოსოვი, ბასსეგ დემირგიანცი, ეგია ადამიანცი, ნ. მილიუკოვი, აბგარ ოგანესიანცი, ა. სოლოგოვი, მ. ფისელკო, ი. ადონცი, ნ. ყორღანოვი, ი. ხუნუნცი, ნ. საფარიანცი, ლ. ქართაშევი, ა. ეკრალიანცი, მ. ასატუროვი, ა. დროპბიშევი, გ. ხაჩატურიანცი, ნ. ტერ-არაქელოვი, პ. შაბალინი, უხიპოვიანცი, ა. ბუბკოვი, ი. ბურადოვი, ა. აპრელოვი, სტ. ხაჩიკიანცი, გ. ჯამაგორიანცი, ალ. ბარხუداროვი, პოდპოლ. ბეგხანოვი, ხორენა და კონსტ. ნალბანდიანცები. ყველა ამ პირთ ბრალდებათ მოხალისეთა რაზმის შედგენა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ.

⊖ **ლექცია.** დღეს, 26 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: 1. ინჟ. ალშიბაიასი ელექტრობა და ორთქლი, 2. ქ. რაჰველიშვილისა—მომენტზე.

◐ **ეროვნული დროშები.** კულტურის და შრომის კავშირმა დაამზადა რამდენიმე ასი ეროვნული დროშის მასალა და დროშების შეკერვა შეუკვეთა სავაჭრო სახლს „შუამავალს“. სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის მასალის და თვით დროშების შეძენა (დაკლებულ ფასებში) შეიძლება პირდაპირ კულტ. და შრომის კავშირისაგან. მსურველთ უნდა მიმართონ იუსტიციის სამინისტროში დ. წითლანაძეს, ყოველ დღე დილის ათ საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე.

⊖ **კლუბის დახურვა.** დახურეს თბილისის საკრებულო და სახელოსნო კლუბი.

○ **ჯამალიანის ბათომში წასვლა.** ყოფილი სომხეთ საქართველოს შორის დიპლომატიური წარმომადგენელი ჯამალიანი ბათომში წავიდა.

○ **რუსეთის მოქალაქეობის მთხოვნელები.** სომეხი ახალგაზდები, რომელნიც ჯარში არიან გაწვეულნი და სომხეთის რესპუბლიკის ქვეშევრდომებათ ითვლებიან, მიმართავენ რუსთა ეროვნულ საბჭოს, რომ ჩასწერონ ისინი რუსეთის მოქალაქეებათ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.

ს. ფხაკაძის რაზმი.

ესაულ სიმონ ფხაკაძეს დაევალა დივიზიის უფროსისაგან შეადგინოს საომარი რაზმი. ფხაკაძეც საჩქაროდ შეუდგა რაზმის შედგენას, რისთვისაც თავისი ოფიცრები და უფროსი ჯარის-კაცები გაგზავნა სხვა და სხვა მაზრებში. მან გამოუშვა შემდეგი მოწოდება:

მამულიშვილნო, გმირებო, ვაჟკაცებო! მთავრობამ დამავალა შევადგინო მეომარი რაზმი.

მე მზად ვარ!

საჭიროა აჩქარება. გელით თქვენ რაინდო და ვაჟკაცო ქართველებო.

ესაულ ფხაკაძემ შემდეგი დეპეში მიიღო გენერალ მაზნიაშვილისაგან: ძლიერ მოხარული ვიქნები გნახოთ თქვენ და თქვენი მხედრები ისევ ჩემი დივიზიის წყებაში. გელით. ყოველი წუთი ძვირფასია.

ლენინაღი **მაზნიაშვილი.**

ქუთაისის სომხები.

18 დეკემბერს ქუთ. გუბერნიის კომისარს წარუდგა ადგილობრივ მცხოვრებ სომხების დელეგაცია, რომელმაც აღიარა რომ ქუთათური სომხები, თავიანთ თავს სცნობენ საქ. რესპუბლიკის ქვეშევრდომათ და არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ერევნის მთავრობასთან, ამასთან ერთად ითხოვეს რომ, რადგან შესაძლებელია ბნელი ძალებისაგან შექმნილი მდგომარეობით სარგებლობა და სომხების წინააღმდეგ რაიმე ექსცესების მოხდენა, მიღებული იქნეს შესაფერი ზომები ასეთი მოვლენის ასაშორებლად.

ფრონტისაკენ.

ქუთაისის კომენდანტის სადარაჯო ასეულმა თავისი უფროსის პორუჩიკ ნიჟარაძესთან ერთად თხოვნით მიმართა პოლკოვნიკ ანჯაფარიძეს დართონ მათ ნება მომქმედ ჯარში წასვლისა. ვინაიდან სამხედრო უფროსის და კომენდანტის მუშაობა დღეს გართულებულია და მოითხოვს საქმის კეთილად მოგვარებას შეგნებული ასეულის აქაც ნაყოფიერ მუშაობას, პოლკოვნიკ ანჯაფარიძემ ასეულს თხოვნაზე უარი განუცხადა.

გვარდიის შტაბი.

ქუთ. გვარდიის შტაბმა შემდეგი ბრძანება გამოუშვა:

ვიღებთ რა მხედველობაში განსაკუთრებულ მდგომარეობას საზოგადოების საყურადღებოთ ვაცხადებთ შემდეგს:

ის პირები, რომლებიც არ დგანან შეიარაღებულთა რიგში და აქვთ სასროლი იარაღები, გარდა სანადირო თოფებისა, ვალდებულნი არიან დაუყონებლივ წარმოადგინონ გვარდიის შტაბში. ვინც ამ განკარგულებას უყურადღებოთ მოეპყრობა ის ჩაითვლება, როგორც ხელის შემშლელი საერთო თავდაცვისა, და სასტიკათ დაისჯებიან როგორც მოღალატენი.

ქუთ. შტზ. სახ. გვარდიის შტაბი.

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ.

ჩვენ არ შეგვიძლია ღრმა მწუხარება არ გამოვსთქვათ მშრომელი ხალხის წინაშე მისი საუკეთესო მებრძოლების უდროოთ წუთის სოფელს გამოსალმების გამო და მასთან იმედიც, რომ ეს იქნება პირველი და უკანასკნელი მსხვერპლი.

გული გიწუხს, სული შფოთავს და თვალები ცრემლებით გევსება, როდესაც უცქერი გათხრილ ერთ დიდ ვეებერთელა სამარეს, სადაც მიასვენებენ საქართველოს თავისუფლებისათვის თავდადებულების, 22 ცხედარს. თავზარდაცემული თავის თავს ეკითხები: რას ნიშნავს ყოველივე ეს? პასუხი ერთია მხოლოდ: მუხანათობა, შური, მტრობა, დაუნდობლობა. იმპერიალისტებმა გაბედეს და თავიანთი ბინძური ხელი შეახეს საქართველოს დემოკრატიის წმიდათა წმიდას: თავისუფლებას.

მეშვიდე თვე გადის მას აქეთ, რაც მთელი ქვეყნის იმპერიალისტების მიერ გაჩაღებულ საშინელ ომისა და ანარქიის ქარცეცხლში იშვა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ შვიდი თვის განმავლობაში საქართველოს მშრომელმა ხალხმა ნათლად დაანახა და კიდევაც დაუმტკიცა მთელ ქვეყანას, რომ მას შესწევს უნარიცა და შეძლებაც მედგრათ და მტკიცეთ დაიცვას რევოლიუციის მონაპოვარი. ყველამ კარგათ იცის თუ როგორ თავგანწირულათ იბრძოდა და იბრძვის საქართველოს მშრომელი ხალხი. საქართველოს ტერიტორიაზე არ მოიპოვება არც ერთი მტკაველი მიწა, სადაც დაღვრილი არ იყოს ქართველი მშრომელი ხალხის უმანკო სისხლი შინაურ თუ გარეგან მტრებთან ბრძოლაში; ასეთივე თავგანწირულათ იბრძოდა იგი თავის დროზე ყოფილ რუსეთის ტერიტორიის სხვა და სხვა ადგილებს.

ვინ არ იცის, რომ ჩვენ რესპუბლიკა ფრიად ნორჩია და მას აუარებელი მტერი ჰყავს შიგნით და გარეთაც. ამიტომ იგი უნდა გაამაგროს, განამტკიცოს და აღორძინოს მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასმა, რომლის ინტერესებს იგი იცავდა, იცავს და კიდევაც დაიცავს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

დარეკა ზარმა, როდესაც მთელი ქვეყნის იმპერიალიზმი სამუდამოთ უნდა დაიმხოს. იმპერიალიზმის რკინის კედლები უკუ შეირყა და იგი მიექანება უფსკრულისაკენ. მთელი ქვეყნის მუშათა კლასმა უკვე ხელთ იგდო ბასრი მახვილი და მომარაგებულია თავისი ძლევა მოსილი მარჯვენით განგმიროს იმპერიალიზმი და ქვეყნათ დაამყაროს ძმობა, ერთობა და თანასწორობა.

და აი სწორეთ ამ დროს, როდესაც დღის წესრიგში სდგას ინტერნაციონალის აღდგენა და მისი საშვალებით ერთა შორის სრული სოლიდარობის დამყარება. სომხების იმპერიალისტები დაშნაკცუტიუნის პარტიის ხელმძღვანელობით, მუხანათურათ თავს დაესხნენ საქართველოს ჯარის ნაწილებს, უტიფრათ გადმოლახეს საზღვრები და გააჩაღეს ძმათა შორის საშინელი სისხლის ღვრა, რისი მსხვერპლიც გახდენ ჩვენი საუკეთესო მებრძოლნი და თავისუფლების დაუღალავი დარაჯნი. ერევნის იმპერიალისტებმა არ დაინდვეს სისხლით მოპოებული თავისუფლება არამც თუ სომხეთში, არამედ საქართველოშიც. შურის ძიებით მთვრალნი არ სცხრებიან და საფრთხეს უმზადებენ ჩვენს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

მაგრამ იცოდეს ყველამ, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი დღეს საკმაო შეგნებითა და ძალითაა აღჭურვილი. ამაოდ ლამობენ უგნურნი გამოგლიჯონ მას ხელიდან თავისუფლება.

თქვენ, თავისუფლებისათვის მარად ტანჯულნო ძმებო, განისვენეთ. თქვენი სახელები ყოველი შეგნებული მოქალაქის გულის ფიცარზე იქნება აღბეჭდილი, რაც საუკეთესო ნუგეში იქნება თქვენი გულ-დათუთქული დამწუხრებული მშობლებისა და ნათესავ-მეგობრებისათვის.

ჩვენ კი აღთქმას გაძლევთ, რომ თქვენებრ ვიბრძოლებთ თავისუფლების დასაცავათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

საუკუნოთ იყოს ხსენება თქვენი, დაუვიწყარო ძმებო.

პარლ. წევ. **ილია მ. თევზაძე.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢ-ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ.

14 დეკემბერი. დილის სხდომა.

(გაგრძელება).

თავმჯდომარეობს ამხ. **ივ. გობეჩია.**

მოხსენებას ამხ. **შენგელაია** პროგრამულ საკითხებზე:

სხვა საკითხებს შემდეგ შევეხები, ახლა კი არ შემიძლია რამოდენიმე სიტყვა მაინც არა ვსთქვა ჩვენი პროგრამის ქვაკუთხედზე, არ შევეხო იმ ფილოსოფიურ ფუძეს, რომელზედაც ემყარება ჩვენი პროგრამა, და რომელიც არსებითად ეწინააღმდეგება მარქსისტულ კონცეპციას.

შემდეგ კითხულობს პირველ მუხლს პროგრამის სათანადო ადგილიდან და ამბობს: ამ მუხლის წარმოშობას მთელი ისტორია აქვს; როცა ჩვენ მას ვიხილავთ, არ უნდა გვავიწყდებოდეს თუ რა პირობებში ხდებოდა ჩვენი პარტიის განახლება, და ამ განახლებული პარტიის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება.

70 წლებში **პრაქტიკულად** სამინლად დამარცხდა ხალხოსნობა: ის გაანადგურა რეაქციამ, და განსაკუთრებით მტკიცე ხასიათის, ღრმა ერუდიციის და პოლიტიკური გამჭრიახობის პატრონი უნდა ყოფილიყო კაცი, რომ არ განეცადა ამ პრაქტიკული დამარცხების ზედგავლენა. სწორედ ამ დროს ფეხი მოიკიდა რუსეთში მარქსიზმმა, რომელიც თვისი ახალგაზრდური სიამაყით ბევრსა ხიბლავდა, ხოლო თვისი პასივობით, როგორც მოძღვრება, საზოგადოების ბევრს გულგატეხილ ელემენტებს იკრებდა გარეშემო ამ რეაქციის მძვინვარების დროს.

მარქსიზმის გავლენა იზრდებოდა და მას ვერ აცდენ **ნაწილობრივ** ვერც ხალხოსნები, და ეს არც არის გასაკვირი, თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მარქსიზმის გავლენა განიცადეს ისეთმა ტიტანებმა, როგორიც იყვნენ

. ლავროვი, ბაკუნინი, ელ. ბეკლაუ და სხვ. და პირველი მუხლის მეორე ნაწილი, სადაც პროგრესის ობიექტიურ მხარეზეა ლაპარაკი, სწორედ არის ის ადგილი, რომელიც მარქსისტულ გავლენას უნდა მიეწეროს, ხოლო ის ადგილი, სადაც პროგრამის ავტორი სოციალურ ცხოვრების ერთ ფაქტორად ნათლავს მცხოვრებთა ზრდას, აშკარად გვაგონებს მაქსიმ კოვალევსკის თეორიას, რაც მისაღებად ვერ ჩაითვლება.

ბ. ჩერნოვმა წამოაყენა აგრეთვე სოციოლოგიური მონიზმი, ფუნქციონალური დამოკიდებულება საზოგადოებრივ ცხოვრების ფაქტორთა შორის, რასაც პსიქოლოგიაში ფსიქო-ფიზიკური პარალელიზმი ეწოდ-ების,—არ მართლდება სინამდვილეში და მე პირადად არ მიმაჩნია მისაღებათ. სოციალური მონიზმის თეორია ბევრ რამეში,—მოგვაგონებს საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიულ თეორიას, რასაც ასე გაშმაგებით ებრძოდენ ლავროვ-მიხაილოვსკი, განსაკუთრებით უკანასკნელი.

ამ ნაწილს ჩვენი პროგრამისას ესაჭიროება გადამუშაება; ამას გრძნობენ ჩვენი მოწინავე ამხანაგები და უკანასკნელ წლებში საამისო ცდას ქონდა ადგილი კაჩაროვსკის და დელევსკის მხრით.

რაც შეეხება პრაქტიკულ საკითხებს, ავიღოთ თუნდაც მუშათა საკითხი; სამუშაო დროის შემცირება და ხელფასის მინიმუმი—საერთო მოთხოვნილებაა ყველა სოციალისტურ პარტიების; დღეს ეს თითქმის უკვე მიღწეულია და, ცხადია, არაფერს ეუბნება მუშას.

ჩვენი პროგრამის ერთს დეფექტს უნდა მივაქციო აგრეთვე თქვენი ყურადღება; იქ არ არის გათვალისწინებული ფინანსიური კაპიტალის ზრდა და მის მიერ გამოწვეული მოვლენანი; იქ არაფერია ნათქვამი იმ იმპერიალისტურ ტენდენციებზე, რომელთაც მსოფლიო ომის სახით შეარყიეს მთელი კაცობრიობა. მართალია, რუსეთში ფინანსიური კაპიტალი სუსტია, პროგრამის შემუშავების დროს, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო სუსტი იყო, მაგრამ მაინც ეს ისეთი საყურადღებო საკითხია, რომ მისადმი ყურადღების მიუქცევლობა არ შეიძლება არ ჩაითვალოს პროგრამის ნაკლად.

აქვე უნდა გამოვთქვა ჩემი აზრი ჩვენი მუნიციპალური პოლიტიკის შესახებ; როცა ამ საკითხს ვეხებით, უნდა დავიწყოთ ის დებულება, რომ ჩვენი გზა სოციალიზმისაკენ არის გზა თანდათანობითი კოლექტივიზაციისა, რაზედაც ხაზგასმით აღნიშნავს ბ. ჩერნოვი თვის წიგნში: „Сквозь туманъ грядущаго“. როცა ხალხი ჩვენ გვირჩევს მუნიციპალურ დაწესებულებებში, ამ დაწესებულებათა სათავეში ჩვენ გვაყენებს, დანაშაულობა იქნებოდა ჩვენის მხრით, არ გამოგვეყენებინა ჩვენი მდგომარეობა ჩვენი პროგრამის ძირითად მოთხოვნილების მიხედვით. და როცა მუნიციპალურ საქმეებში თავს წამოყოფს საკითხი, ქალაქთა, აბანოთა შენობითურთ ჩამორთმევის შესახებ, სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია იმაზე ლაპარაკი, მოსყიდვით უნდა სწარმოებდეს ეს ფორთმევა, თუ უფასოთ. აქ ერთ ერთი პასუხი ჩვენი უნდა იქნეს. ექსპროპრიაცია. შესყიდვაზე ლაპარაკი ზედმეტია.

(შემდეგი იქნება).

აზღვარ-გარეთ.

(საქ. დეპ. სააგ.)

ინგლისური პრესა, 21 დეკემბერი. ჩინგეთის ჯარმა მუსიკით გაიარა ბეიჯინის ქუჩები. ეს ჯარი ქალაქში დასაჭერათ არ ჩამოსულა, რადგან აქ უკვე ამერიკის ჯარი სდგას. ჩინგეთის ჯარი კობლენციდან რეინის მარჯვენა მხარეზე მიდის სადაც უნდა დაიჭიროს ნაჩვენები სექტორი. დილის 11 საათზე შაენციდან და ბინგენიდან კობლენცში რეინით მოვიდა სამი დიდი გემი. ჯარის გადმოსხმა წესიერად სწარმოებს. 2 საათზე საფრანგეთის ჯარმა სასახლის დიდ მოედანზე პარადი გამართა, რომელიც მიიღო ამერიკის მე-3 არმიის სარდალმა, გენერალმა დიკმანმა. პარადის შემდეგ გენერალ სიუსბელის ჯარი გადავიდა რეინზე აღნიშნულ პუნქტების დასაჭერათ.

ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ სამხედრო მრეწველობის თავმჯდომარე ბარნეტი და სამხედრო ვაჭრობის კომისიის თავმჯდომარე მაკ. კარინკი საფრანგეთში გაიგზავნა ამერიკის სამშვიდობო კომისიის მრჩეველებათ. ბ. ბარნეტი სამანუფაქტურო წარმოების საკითხს შეეხება, მაკ კარინკი ბლოკადის და ექსპორტის შემცირების საკითხს.

ჟენევიდან იუწყებიან, რომ ბერნიდან დაბრუნებული ავგუსტ ადორი ავტომობილით მოვიდა ჟენევაში ფედერატიულ პალატის დეპუტატების თანხლებით. 3 საათზე გაიარა მონბლანის ზღვის ნაპირთან, სადაც მიუხედავათ ცუდი ამინდისა მას შეეგებენ ჟენევის მოქალაქენი და სამხედრო პირნი. ადორი ქალაქის სასტუმროში გაჩერდა. ხალხმა მუსიკით გაიარა პრეზიდენტის წინ, რომელიც ქალაქის სასტუმროს აივანზე იყო გადმომდგარი. ახლათ არჩეულს გაწუწყვეტელ ოვაციებს უმართავდენ.

გერმანული პრესა, 21 დეკემბერი. კენისბერგში, სახალხო მიტინგზე, რომელსაც დაესწრო რამოდენიმე ათასი კაცი, პროტესტი განაცხადეს აღმოსავლეთ პრუსიის ლიტვასთან ან პოლონეთთან შეერთების ცდაზე. რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ პრუსია შვიდი საუკუნის განმავლობაში ეკუთვნოდა გერმანიას და მომავალშიც განუყოფელია მისგან და სრული კავშირი უნდა ქონდეს გერმანიასთან პოლიტიკურის, ეკონომიურის და კულტურულის მხრით.

გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა ყრილობაზე 19 დეკ. დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატებმა მოსთხოვეს გააზეს განმარტება მისცეს მათ იმის შესახებ, თუ როგორ ესმის მას სახალხო რწმუნებულთა კანტროლი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წევრთა მიერ. როცა გაიზემ სთქვა, რომ სახალხო კომისართა საბჭომ ყველა ღირსშესანიშნავი საკანონმდებლო ნაბიჯები უნდა დაუმორჩილოს ცენტრალურ საბჭოს განსაკუთრებულ მომენტში კი უნდა იმოქმედოს დამოუკიდებლათ და მიღებული გადაწყვეტილებანი შემდეგ წარუდგინოს საბჭოს დასამტკიცებლათ. დამოუკიდებელ სოც.-დემ. განაცხადეს, რომ განმარტებას დამაკმაყოფილებლათ არ სთვლიან და აღძრეს საკითხი კრების გადადების შესახებ. უმრავლესობამ ეს წინადადება უარყო. ამის შემდეგ ს.-დემ. დამოუკიდებელ უმრავლესობამ და სპარტაკის ჯგუფმა პროტესტის სახით დასტოვეს კრება და დაბრუნდენ მხოლოდ მაშინ, როცა დამფუძნებელ კრების არჩევნების დანიშვნის დროზე იყო კამათი და კენჭის ყრა. კენჭის ყრის რეზულტატმა გამოარკვია, რომ უმრავლესობა მომხრეა დამფუძნებელი კრების არჩევნები 1919 წლის იანვრისთვის დაინიშნოს. კენჭის ყრის შემდეგ დამოუკიდებლებმა და სპარტაკელებმა ისევ დასტოვეს კრების დარბაზი.

გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების საერთო ყრილობამ ვერ მოასწრო თავისი საქმეები 19 დეკემბრის კრებაზე დაესრულებია და სოციალიზაციის და ზავის საკითხის შესახებ 20 დეკემბრისთვის დანიშნა კრება. ეროვნულ კრების დროს გხნსაზღვრის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ცენტრალური საბჭო უნდა შესდგებოდეს 27 წევრისაგან. დამოუკიდებელ სოციალისტმა გეიერმა შეიტანა წინადადება, რომ ცენტრალურ საბჭოს მიეცეს უფლება მიიღოს და უარყოს კანონები მათ გამოქვეყნებამდე. ამის წინააღმდეგ ილაპარაკებერტმა, რომელმაც სთქვა, რომ მთავრობამ უნდა მოითხოვოს ცოტაოდენი თავისუფლება მაინც, რომ მას შეძლება ექნეს სწრაფათ იმუშაოს და იმოქმედოს. დიდი კამათის შემდეგ უარყვეს გეიერის წინადადება. დამოუკიდებელ სოც.-დემ. განაცხადეს, რომ ისინი არ მიიღებენ ოფიციალურ მონაწილეობას ცენტრალურ საბჭოს არჩევნებში. მიიღეს სოც.-დემ. უმრავლესობის პარტიის სია.

პოლიტიკების ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

მოსკოვი, 25 დეკემბერი, ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. ვოლმარიდან გაქცეულ თეთრგვარდიელებს წითელი არმიის მოწინავე რაზმები სდევნიან.

კურსკი, 22 დეკემბერი, უკრაინის საბჭოთა ჯარმა დაიჭირა რკინის გზა და ტელეფონი. გრაფი ბელგოროდში სრული წესრიგია. ქალაქი ბრძოლით იქნა აღებული. მას შემდეგ რაც გერმანელებმა თვითონ პირველად დაუშინეს ზარბაზნები უკრაინელებს, უკრაინის საბჭოთა ჯარმა გუშინ კუპიანსკი აიღო.

ეკატერინოსლავი, 22 დეკემბერი. ეკატერინოსლავი უკრაინის საბჭოთა მთავრობის ჯარის მიერ გარსშემორტყმულია და მოწყვეტილია კიევსა და დონს. წითელ არმიელებმა დაიპყრეს გრიშინო-პოსტ-ამურის რკინის გზა. კიევის მიმართულებით აღებულია სადგური გორიაჩნო, ქალაქი კამენკა და ზაპოროჟიე.

ბახმუტი, 20 დეკ. ქარხნის მუშათა და გლეხთა კომიტეტების წარმომადგენელთა ყრილობაზე დაადგინეს ძალა-უფლება საბჭოებს გადაეცეს.

ხარკოვი, 18 დეკ. მოკავშირეთა წარმომადგენლად უკრაინაში დაინიშნა გენერალი ლეჟე, რომელიც ოდესაში ცხოვრობს.

მოსკოვი, 23 დეკეემბერი, ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. შიპოვო. ყაზახთა შორის დეზორგანიზაცია ძლიერდება; 22 დეკემბერს ჩვენთან მოვიდენ მე-9 ყაზახთა პოლკის პარლამენტიორები, დაიჭირეს ჩვენთან კავშირი და დაძმობილების სურვილი განაცხადეს. პოლკში აგიტაციაა საბჭოთა მთავრობის სასარგებლოთ. პოლკმა უარი განაცხადა ბრძოლაში გასვლაზე. ოფიცრები მიიმალენ. ყაზახებმა აირჩიეს ახალი უფროსები.

ბერლინი, 19 დეკ. ბულგარეთში ისევ დაიწყო რევოლიუცია.

ნაუენი, 22 დეკემბერი. სოფიაში შეტაკებებია. იუწყებიან ბოლშევიკურ გამოსვლებზე. მეფე ბორისი იმუქრება ტახტიდან გადადგომით.

სხვა და სხვა ამგვეგი.

დაწვრილებითი ცნობები უფის დირექტორიის შესახებ.

ურალსკი. ლაშქრის მთავრობას.

უმაღლეს მმართველისა და მინისტრთა საბჭოს დავალებით ლაშქრის მთავრობას ურალსკში ატყობინებენ ოფიციალურ ცნობებს უმაღლეს მთავრობის გამოცვლის შესახებ.

დილას, 18 ნოემბერს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მოუვიდა ცნობა, რომ წინა ღამით სამხედრო ფორმაში გამოწყობილ პირთ გაუჩხრეკიათ სრულიად რუსეთის დროებით მთავრობის წევრთა: ავქსენტიევის და ზენზინოვის, არგუნოვის მოადგილის და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგ როგოვსკის ბინა, და ჩხრეკის შემდეგ ჩამოთვლილი პირნი დაუტუსაღებიათ და წაუყვანიათ. სად იმყოფებიან ისინი ეხლა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვერ გაუგია. ამ ცნობის შემოწმების შემდეგ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, სრულიად რუსეთის დროებითი მთავრობის წევრ ვინოგრადოვთან შეთანხმებით მოიწვია მინისტრთა საბჭოს არაჩვეულებრივი სხდომა და მოახსენა მას ამ ცნობის შესახებ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებისა და აგრეთვე სხვა მინისტრების მიერ შეტყობილ ცნობებიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელ დროს ფართო საპასუხისმგებლო წრეებში, განსაკუთრებით სამხედრო წრეებში იზრდებოდა უკმაყოფილება სრულიად რუსეთის დროებით მთავრობის გაუბედავ პოლიტიკის გამო მემარცხენე მიმდინარეობათა მიმართ, რომელთაც კვლავ დაიწყეს თავიანთი დამღუპველი ანტისახელმწიფოებრივი მუშაობა პროკლამაციების გავრცელებით, აჯანყების ცდით და სხვ. სრულიად რუსეთის დროებით მთავრობის ამ გაუბედავ პოლიტიკას მემარცხენე მიმდინარეობათა მიმართ საზოგადოებრივი წრეები უკავშირებდენ იმ გარემოებას, რომ მინისტრ-თავმჯდომარე ავქსენტიევი, მთავრობის წევრი ზენზინოვი არიან სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის გამოჩენილი მოღვაწენი და პარტიის პასუხისმგებელი ხელმძღვანელნი და რომ ამ პარტიის ყრილობის დადგენილებით მის წარმომიდგენლები მთავრობაში თავის პოლიტიკის შესახებ პასუხისმგებელნი არიან პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წინაშე. ასეთ პირობებში საზოგადოებრივ წრეებში დაგროვილი უკმაყოფილება დროებით მთავრობის პოლიტიკის გამო, ბუნებრივათ უნდა მიმართულიყო ჩამოთვლილ ოთხ პარტიის წინააღმდეგ. მინისტრთა საბჭოს მოხსენებიდან გამოირკვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ ნიადაგზე რაიმე ექსცესების თავიდან ასაცილებლათ, გაადიდა მცველი რაზმები ნ. დ. ავქსენტიევის და ვ. მ. ზენზინოვის ბინებზე. მოისმინა რა ეს ცნობები და გამოარკვია რა, რომ არავითარ კანონიერ მთავრობას, არც სამხედროს და არც სამოქალაქოს არ გაუცია განკარგულება ზემოთ დასახელებულ პირების დატუსაღების შესახებ, მინისტრთა საბჭომ თავის უპირველეს მოვალეობათ ჩასთვალა ერთხმათ დასდოს მსჯავრი ასეთ თვითნება და საქმის ამრევ-დამრევ მოქმედებას და დაადგინა დაუყონებლივ დაინიშნოს გამოძიება 18 ნოემბერს, ღამით მომხდარ ამბების შესახებ იუსტიციის მინისტრის პირად ზედამხედველობის ქვეშ, და ამასთანავე დაავალა იუსტიციისა და სამხედრო მინისტრებს მიიღონ გადამჭრელი ზომები უკანონოთ თავისუფლება აყრილ მთავრობის წევრების გამოსაძებნათ და მათი პიროვნების ყოველგვარ ძალდატანებისაგან დასაცავათ.

ამას შემდეგ მინისტრთა საბჭო შეუდგა სრულად რუსეთის დროებით მთავრობის შემდგომ მოღვაწეობის შესაძლებობის კითხვის განხილვას. ნ. ვ. ვოლოგოდსკიმ, რომელიც თავმჯდომარეობდა მინისტრთა საბჭოს სხდომაზე და მინისტრთა საბჭოს ყველა წევრებმა ერთხმათ აღიარეს, რომ შექმნილ პირობებში სრულიათ რუსეთის დროებითი მთავრობა, რომელიც [illegible] ომსკში ორი კაცისაგან შესდგება უნდა შეუერთდეს მინისტრთა საბჭოს და რომ ასეთ პირობებში მინისტრთა საბჭო ხდება უმაღლეს მთავრობის დროებით ორგანოთ. ამავე აზრს შეუერთდა სრულიად რუსეთის დროებით მთავრობის წევრი ვ. ა. ვინოგრადოვი. ამასთანავე მინისტრთა საბჭო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სრულიად რუსეთის დროებითი მთავრობა, რომლის ავტორიტეტი შერყეულია წარსულ ღამის ამბებით და საერთოთ, ამ ამბების გამომწვევ სულის კვეთებით, ვერ შესძლებს წესრიგის და მშვიდობიანობის დაცვას და შესაძლებელ თვითნება გამოსვლების თავიდან აცილებას. მოისმინა რა ეს ცნობები და გამოდის რა იმ რწმენიდან, რომ მინისტრთა საბჭოს, როგორც სახელმწიფოს ბედისათვის პასუხისმგებელ ორგანოს, აწევს მოვალეობა უზრუნველჰყოს უმაღლეს მთავრობის შეუწყვეტელი მოქმედება, მინისტრთა საბჭომ დროებით მთავრობის დარჩენილ წევრებთან ერთად, დაადგინა მიიღოს თავის თავზე მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება, რის შემდეგ, მიიღო რა სასწრაფო და გადაუდებელი დებულებანი, როგორც უმაღლესმა ორგანომ. მინისტრთა საბჭო შეუდგა სახელმწიფოს მძიმე მდგომარეობის კითხვის განხილვას და აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ, გამოთქმულ და მიღებულ იქნა შემდეგი დებულებანი:

1) რომ მთავრობის ძირითადი მიზანი—მკაცრი ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომლის შედეგზედაც დამოკიდებულია რუსეთის ბედი მოითხოვს მთელ ძალა უფლების, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედროსი ერთი პირის ხელში, რომელსაც ავტორიტეტი ექნება სამხედრო და საზოგადოებრივ წრეებში;

2) რომ ძალა-უფლების, ერთ პირის ხელში გადასვლა შეძლებას იძლევა მიზანშეწონილათ და წარმატებით გატარებულ იქნეს ჯარის შეკრებისა და სურსათ-სანოვაგის მიწოდების საქმე, რომელიც დიდ სიძნელეს წარმოადგენს გაძვალტყავებულ ქვეყანაში;

3) რომ მხოლოდ ძალა-უფლების, ასეთი კონცენტრაცია, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოებრივ აზრს, შეაჩერებს მარჯვნიდან და მარცხნიდან გამოსვლებს რუსეთი ჯერ კიდევ არაგამაგრებულ წესწყობილების წინააღმდეგ, — გამოსვლებს, რომელნიც აყენებენ სახელმწიფოს შინაურსა და საგარეო მდგომარეობას და საფრთხეში აგდებენ პოლიტიკურ თავისუფლებასა და დემოკრატიულ წესწყობილებას;

4) რომ ძალა-უფლების ასეთი კონცენტრაცია საჭიროა ანტი-სახელმწიფოებრივ პარტიების წინააღმდეგ მედგარ ბრძოლის წარმოებისათვის, და აგრეთვე ცალკე ჯარის ნაწილების თვითნება მოქმედების ასალაგმავათ, რომელსაც შეაქვს დეზორგანიზაცია ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში და საზოგადოებრივ წესიერებასა და მშვიდობიანობაში.

ამ მოსაზრებით მინისტრთა საბჭომ ერთხმათ, სრული თავის შემადგენლობით დაადგინა გადასცეს დროებით უმაღლესი ძალა-უფლება ერთ პირს, უმაღლესი მმართველის სახელწოდებით.

ამის შემდეგ მინისტრთა საბჭომ შეუდგა რუსეთის სახელმწიფოებრივ წესწყობილების დროებით დებულების განხილვას იმ მიზნით, რომ შეიმუშავოს უმაღლეს მმართველისა და მინისტრთა საბჭოს საერთო მოქმედების წესი.

ამ დებულების მოწონების შემდეგ, ფარული კენჭის ყრით შეუდგენ უმაღლეს მმართველის არჩევნებს.

არჩეულ იქნა ადმირალი ალექსანდრე ვასილის ძე კოლჩაკი, რომელმაც თანხმობა განაცხადა და მოკლე სიტყვაში განუმარტა მინისტრთა საბჭოს, რომ თავის მოღვაწეობაში ის მთავარ მიზნათ დაისახავს ჯარის შეკრებასა და მისთვის

სურსათის მიწოდებას, ქვეყანაში შშვიდობიანობისა და წესრიგის უზრუნველყოფას და თავუსუფალ დემოკრატიულ წესწყობილების დაცვას.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვოლოგოდსკი.**
საქმეთა მმართველი პროფესორი **გიორგი ტელბ...**

საქართველოს საპრეზიდიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის ბიუროსგან.

22 ქრისტეშობისთვე 1918 წ.

საქართველოს რესპუბლიკის კომერციულ ბანკებს, სააქციონერო საზოგადოებებს, საურთიერთო ნდობათა საზოგადოებებს, შემნახველ-გამსესხებელ და წვრილი კრედიტის ამხანაგობებს, სავაჭრო ამხანაგობებს და ვაჭარ-მრეწველთა კავშირს.

საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა და მისი ხალხი განსაცდელშია.

როდესაც ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა ნეგობრებთან ყველა საადო საკითხის გადაწყვეტას კეთილგონიერი ზომებით ლამობდა და მან ამ მიზნისათვის ყველა მის განკარგულებაში არსებული საშვალება ამოსწურა, სომხის მთავრობის ჯარი დედა-ქალაქ თფილისის დაპყრობის სურვილით აღზნებული, ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებზე მოდარაჯე რაზმებს მოღალატურათ თავს დაესხა, შემოტევა დაიწყო და შემდეგ ოფიციალურათ ჩვენს მთავრობას ომი გამოუცხადა.

ამ დიად ისტორიულ განცდის დროს ყველა ჩვენგანი მოვალეა მთავრობას შესაძლებელი დახმარება აღმოუჩინოს, რომ მას ამით შეძლება მიეცეს ფრიად საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულების დროს საჭირო სიმტკიცე და საქმიანობა გამოიჩინოს.

საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის ბიუროს თავის სასწრაფო სხდომაზე, 27 ქრისტეშობისთვეს 1918 წ., რომელზედაც დაესწრენ თფილისის და პროვინციის საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენელნიც, მიიღო რა მხედველობაში ყოველივე ზემოაღნიშნული და აგრეთვე ისიც 1) რომ სულ ახლო მომავალში რესპუბლიკის მთავრობამ ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფო არაჩვეულებრივი ხარჯების დასაკმაყოფილებლად 50000 000 მან. 5 პროც. მოკლე ვადიანი სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებანი ერთი წლის ვადით უნდა გამოსცეს და 2) ომის საჭიროებისათვის საავთომყოფოების მოწყობა, დაჭრილ მეომრების ცოლშვილთა დახმარება და სხვ.) კერძო შეწირულებათა ფართო ორგანიზაციის შექმნის საჭიროება, ერთხმად დაადგინა:

1) დაარსდეს ცალკე ფონდი ომის საჭიროებისათვის (საავთომყოფოების მოწყობა, დაჭრილ-მოკლულთა ოჯახების დახმარება და სხვ.).

2) ამ ფონდის გასაძლიერებლად მიცეს წინადადება რესპუბლიკის საზღვრებში არსებულ სხვა-და-სხვა ტიპის საკრედიტო დაწესებულებებს თავიანთ საშვალებიდან გაიღონ შეწირულება დაუყონებლივ საბჭოსა და გამგეობის დადგენილებით, ისე რომ არ მოუცადონ ამისთვის საზოგადო კრების მოწვევას.

3) მიეცეს წინადადება საკრედიტო დაწესებულებათა თანამშრომლებს, რომ გამართონ თავიანთ შორის ხელის მოწერა და აგრეთვე ეო აწყონ ხელის მოწერა წევრთა, აქციონერთა და კლიენტთა შორის

4) ადგილობრივმა და პროვინციელ დაწესებულებებმა და კერძო პირებმა მოკრებილი შეწირულებანი უნდა წარმოადგინონ ქ. თბილისში ამიერკავკასიის ბანკში და ან სასოფლო-სამეურნეო ბანკში, სადაც ომის საჭიროების ფონდისათვის გახსნილია სახელდახელო ანგარიშები.

5) შემომწირველთა ვინაობა გაზეთებში გამოცხადდეს.

6) შემოწირულ ფულისა და ნივთების ანგარიშის წარმოება ევალება ზემოაღნიშნულ დაწესებულებათ და ეს ანგარიშები გაზეთებში უნდა იბეჭდებოდეს.

7) მოწვეულ **იქნან ქ. თბილისში 29 ქრისტეშობისთვეს, დილის 11 საათზე,** თფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის ბინაზე, კომერციულ ბანკების, სააქციონერო საზოგადოებების, საურთიერთო ნდობის საზოგადოებების, შემნახველ-გამსესხებელ და წვრილი კრედიტის ამხანაგობების, სავაჭრო სახლების, სავაჭრო ამხანაგობების და ვაჭარ-მრეწველთა კავშირის წარმომადგენელნი; ამ კრების საგანია: ა) საკრედიტო და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მონაწილეობის მიღება 50.000.000 მან. ხაზინის ვალდებულებათა რეალიზაციის საქმეში და გ) მიმდინარე საკითხები.

გთხოვთ სასწრაფოთ შეასრულოთ ზემოთმოყვანილი დადგენილებანი და **გამოგზავნოთ თქვენი წარმომადგენელნი 29 ქრისტეშობისთვის სხდომაზე.**

შენიშვნა: შესაძლებელია ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებმა ამასთანავე ერთად ფოსტით გადაგზავნილი ბარათები თავის დროზე ვერ მიიღონ, მაგრამ მიუხედავათ ამისა მათი წარმომადგენლების დასწრება 29 ქრისტეშობისთვის სხდომაზე სავალდებულოა.—

ქართული საკრედიტო დაწესებულებათა ყრილობის ბიურის თავმჯდომარე პართენ გოთუა.
მდივანი კ. მხეიძე.

ოცდა ორ გმირთა დაპრძალვა.

სამშაბათს, 24 დეკემბერს, საძმო სასაფლაოზე მიწას მიაბარეს სომხებთან შეტაკების დროს ბრძოლის ველზე მსხვერპლათ დაცემულნი პარლამენტის წევრის მაისურაძის და სხვების ცხედარნი—სულ 22 კაცი. მიუხედავათ ცუდი ამინდისა გამოსვენებას უამრავი ხალხი დაესწრო. გზაში შემოეგებათ პარლამენტის წევრნი. პროცესიის მსვლელობის ქუჩები იშვიათ სანახაობას წარმოადგენდენ. წინ წითელი დროშები, მომღერალთა გუნდი, შემდეგ პარლამენტის წევრნი, გვირგვინები, მუსიკა, ზღვა ხალხი, ქუჩის ორივე მხრივ გამწკრივებული გვარდიელები. ყველას და ყველაფერს უსაზღვრო მწუხარების ბეჭედი აზის. საათის სამზე მივაღწიეთ სასაფლაოს, ამ 22 გმირთა სამუდამოთ განსვენების ადგილს. აჰა, დიდი ორმო, სჩანს ერთად დახოცილთ ერთად ასაფლავებენ. 22 კუბო, 22 მიცვალებულთა ჭირისუფლების ოხვრა მოთქმა საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს დამსწრეებზე, საფლავის ერთი მხრივ დგანან: პარლამენტის თავმჯდომარე კ. ჩხეიძე, მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, მინისტრები: ლორთქიფანიძე, რამიშვილი და სხვ. პარლამენტის წევრები მეორე მხარეზეა თავმოყრილი. როგორც იქნა დასრულდა პროცესიის მსვლელობა. ყველა სასაფლაოზეა. სასაფლაოს მიდამოები ხალხითაა გაჭედილი. წესრიგს გვარდია იცავს. სამარისებური სიჩუმეა. ყველა მგლოვიარობს.

ჭირისუფლების უკანასკნელი გამოთხოვება-კივილი, ტირილი იწვევს დამსწრეთა შორის ცრემლებს. მოისმის წყევა-კრულვა მუხანათთა მიმართ. ზიზღი თავისუფლების მტერთ. ცოტა ხნის შემდეგ გაისმის:

„რას გვერჩიან, რა დაუშავეთ, ვის შევეცილეთ ბედნიერებაში“. ასე დაიწყო თავის სიტყვა პარლამენტის სახელით კ. ჩხეიძემ. ამიერიდან არც ერთს თქვენგანს არ ეკუთვნის თავის სიცოცხლე, ის სამშობლოს, თავისუფლების კუთვნილებაა და ყველა თქვენგანი ვალდებულია ეს მსხვერპლი გაიღოსო ამბობს კ. ჩხეიძე. ამის შემდეგ მთავრობის სახელით ლაპარაკობს შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, შემდეგ გვარდიის შტაბის წარმომადგენელი აუშტროვი, რომლის შემდეგ უნდა გამოსულიყვენ სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენელნი, სულ ჩაწერილი იყო 14 კაცი, მაგრამ ვინაიდან დაგვიანებული იყო სხვებს არ ულაპარაკნიათ.

საღამოს ექვს საათზე ხალხი უკანასკნელათ ემშვიდობება 22 თავისუფლებისათვის თავდადებულთ და იშლება.

იშლება იმ რწმენით, რომ ჩვენი რესპუბლიკისა და თავისუფლების დაცვის საქმეში ყველა, როგორც ერთი კაცი გამოვა რეაქციისა და შავი ძალების წინააღმდეგ—ან სიკვდილი ან გამარჯვება.

მუშა.

ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე.

23 დეკემბერი.

მესამე დღე.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება. თავიდანვე პროცესს უფერულობა ეტყობა. მოწმეები ახალს არაფერს ამბობენ. სენსაციურ ჩვენებას იძლევა ბრალდებულ შმაგაილოვის მოწმე გოტოვცევი. ის ამტკიცებს, რომ ინგლის-ამერიკის მისია დაინტერესებულია ამ საქმით და აუცილებლათ განთავისუფლებულ უნდა იქნას შმაგაილოვი. ზელინსკი, შმაგაილოვის დამცველი, ჩაებღაუჭა ამ მოწმის ჩვენებას და მოითხოვა საქმის საერთაშორისო უფლებრივ სფეროში გადატანა. აქ უკვე პროცესს სიცოცხლე დაეტყო. ალაპარაკდნენ სამოქალაქო მომჩივრები. სასამართლომ ზელინსკის წინადადება უარყო.

დაკითხეს შედეგ მოწმეთ ლასხურაშვილს და მზარაულაშვილს, ორივე ტყის მცველებია, ისინი ასწერენ, თუ როგორ და რა პირობებში იქნენ ბრალდებულნი დაჭერილნი. მზარეულაშვილს ხელში უჭირავს კუჩარიანცის ქუდი. ის აღნიშნავს, რომ კუჩარიანცს სხვა საგნებთა შორის აღმოაჩნდა ჯიბეში ფიტილი და ხიზალალაო.

დაკითხეს აგრეთვე **შაქარაშვილს** და **ჯაფარიძეს,** მათ მოკლე ცნობები მისცეს სასამართლოს ხიდის აფეთქების და კუჩარიანცი-შმაგაილოვის შეპყრობის შესახებ.

თავმჯდომარე. ბრალდებულო შმაგაილოვო, თქვენ ინგლისის მისიასთან მსახურობდით თუ არა?

ბრალდებული. არა, სამსახურში არ ვყოფილვარ, ისე ვმუშაობდი.

თავმჯდომარე. გყავდათ თუ არა თქვენ აქ იდეური ამხანაგები?

ბრალდებული. მყავდა.

თავმჯდომარე. მათთან კავშირი გქონდა თუ არა?

ბრალდებული. საერთო საქმეში ჩვენ შორის იყო კავშირი.

თავმჯდომარე. თქვენი იდეური ჯგუფის ნაციონალური შემადგენლობა როგორი იყო?

ბრალდებული. სამი რუსი იყო და ერთი ლატიში.

თავმჯდომარე. თქვენ იცოდით თუ არა, რომ საქართველომ [illegible] უკიდებლობა გამოაცხადა და ძასთან გამოაცხადა თავისი თავი ნეიტრალურ სახელმწიფოთ?

ბრალდებული. ვიცოდი. ნეიტრალობის შესახებ გაზეთებში ამოვიკითხე.

თავმჯდომარე. ღებულობდი თუ არა ცნობებს დასავლეთის ფრონტის მდგომარეობის შესახებ და იცოდი თუ არა დროებითი შერიგების გამოცხადება?

ბრალდებული. მე ყოველთვის მწამდა, რომ მოკავშირენი გაიმარჯვებდენ, ხოლო საქმე დროზე იყო. რაც შეეხება ცნობებს, მე ცუგმაიერის ცნობებით ვიკვებებოდი, ეს ცნობები კი, რასაკვირველია არ იყო ჭეშმარიტი.

თავმჯდომარე. თქვენ იცოდით თუ არა საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა?

ბრალდებული. ვიცოდი.

თავმჯდომარე. უკრაინა ხომ ძლიერია ეკონომიურათ საქართველოზე, გერმანიას იქ უფრო მაგრათ ჰქონდა ფეხი მოკიდებული და თქვენ რათ აირჩიეთ საქართველო თქვენს სამოქმედო ასპარეზად, განა უფრო დიდ სარგებლობას არ მოუტანდით, რომ უკრაინიდან შეგეშალათ ხელი საქონლის გაზიდვაში?

ბრალდებული. საქმე არჩევანში რომ ყოფილიყო, მაშინ მე მოკავშირეთა ჯარში ჩავეწერებოდი. მე ეს დამავალეს და ავასრულე.

თავმჯდომარე. როდის გაიცანით თქვენ ჩალხუშიანი?

ბრალდებული. მარშან, 1917 წ.

თავმჯდომარე. თქვენ და თქვენს იდეურ ამხანაგებს გინდოდათ თუ არა საინტედანტოები გაგენადგურებინათ, რომ გერმანელებს აქედან დამზადებული საქონელი არ წაეღო.

ბრალდებული. ჩვენ ვანადგურებდით მხოლოდ იმას, რაც გერმანელებს წასაღებათ ჰქონდათ გამზადებული.

თავმჯდომარე. როცა თქვენ ძევგინ ხიდის აფეთქებას აწყობდით იცოდით თუ არა სანაინის ამბები და თუ იცოდით, როგორ უყურებდით მას?

ბრალდებული. ვიცოდი. მე მაგ ამბებს ვუყურებდი მეტად ზერელეთ. ეს იყო უბრალო საზღვრების შესახებ ჩვეულებრივი უთანხმოება. საერთოდ მე ჩემი სამშობლო მიყვარდა, ხოლო კავკასიაზე ძალიან ცოტას ვფიქრობდი, მისას არც კარგს ვეძებდი და არც გლახასო.

თავმჯდომარე. თქვენ იცოდით საქართველოს რესპუბლიკის არსებობა, იცოდით აგრეთვე სომხეთის რესპუბლიკის არსებობა, როცა ხიდს აფეთქებდით და საქართველოს ორნაწილად ჰყოფდით, ასუსტებდით ნორჩ სგხელმწიფოს ძალას, ფიქრობდით თუ არა, რომ ეს გარემოება საქართველოს დაასუსტებს, ხოლო სხვები მას ამის შემდეგ ხელს ადვილად წამოჰკრავდენ?

ბრალდებული. სამხედრო მოქმედება არ იყო, მე ვფიქრობდი მხოლოდ ორი კვირით შემეწყვიტა მოძრაობა. ხოლო საქართველოს დასუსტებაზე მე სრულებით არ ვფიქრობდი.

თავმჯდომარე. თქვენ რუსეთის აღდგენა გაინტერესებდათ, არა?

ბრალდებული. მე მაინტერესებდა არა აღდგენა რუსეთისა, არამედ აღორძინება. მე სრულებით არ ვიყავი განაპირა რუსეთის მდგომარეობით დაინტერესებული. იარსებებდენ თუ არა პოლონეთი, ფინლიანდია, საქართველო და სხვ. ჩემთვის სულ ერთი იყო. მე მაინტერესებდა ცენტრალური რუსეთის ბედი.

თავმჯდომარე. თქვენ [illegible]ოს არ გიკითხავთ ჩალხუშიანისათვის, თუ [illegible]ის ეპყრობა ის თავის [illegible]ის რესპუბლიკას?

ბრალდებული. მე ვიცი, რომ ჩალხუშიანს თავისი სამშობლო უყვარდა და სომხეთის რესპუბლიკას კარგათ უყურებდა.

თავმჯდომარე. ვის მიმართეთ თქვენ დახმარებისათვის, როცა არც ერთი ამხანაგი თქვენი მაშინ აქ არ იყო?

ბრალდებული. მე მივმართე ჩალხუშიანს, როგორც ერთ პატიოსან ჩემს ნაცნობ აფიცერს.

თავმჯდომარე. ჩალხუშიანს ზედმეტი სახელი ჰქონდა თუ არა?

ბრალდებული მას ცოლი ეძახდა „დიაბას“.

სამოქალაქო მომჩივანი **ქავთარაძე.** იცოდით თუ არა აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა?

ბრალდებული. ვიცოდი.

ქავთარაძე. სთვლიდით თუ არა ამ აქტს სახელმწიფოებრივ აქტად?

ბრალდებული. საქართველო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უნდა ცნობილ იქნას.

ქავთარაძე. მატარებელის მოახლოვების დროს, რათ მიატოვეთ ხიდს ქვეშ მუშაობა.

ბრალდებული. არ მინდოდა მატარებლის გავლის დროს აფეთქება მომხდარიყო, რათა ადამიანები არ დახოცილიყვნენ.

ქავთარაძე მოითხოვს ეს ჩვენება იქნეს შეტანილი ოქმში, რადგან გუშინ ამ კითხვაზე შმაგაილოვმა სხვა პასუხი მისცა. სასამართლომ შუამდგომლობა უარჰყო.

(შემდეგი იქნება)

მატარებლების მიმოსვლა.

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზებზე 20 ნოემბრიდან მატარებლები შემდეგი წესით ივლიან:

მატარებელი № 1—გადის თფილისიდან—17 ს. და 42 წ.,
ხაშურიდან—22 ს. და 22 წ.,
რიონიდან—3 ს. და 09 წ.,
ჩადის ფოთში—6 ს. და 33 წ.,
„ № 3 გადის თბილისიდან 10 ს. და 25 წ.,
„ ხაშურიდან 18 ს. და 04 წ.,
„ რიონიდან—23 ს. და 21 წ.,
გადის ფოთში—4 ს. და 36 წ.,
„ № 5 გადის თბილისიდან—22 ს. და 30 წ.,
„ ხაშურიდან—4 ს. და 02 წ.,
„ რიონიდან—9 ს. და 18 წ.,
ჩადის ფოთში—13 ს. და 08 წ.,

გ ა მ ო დ ი ს:

მატარებელი № 2 ფოთიდან—20 ს. და 49 წ.,
0 ს და 14 წ.,
რიონიდან—ან—5 ს. და 01 წ.
ოთიან 22 ს. და 34 წ.,
№ 4 იონიდან—4 ს. და 30 წ.,
რურიდან—12 ს. და 15 წ.,
ხაშისში მოდის 18 ს. და 25 წ.,
თბილფოთიდან—16 ს. და 11 წ.,
№ 6 ხაშურიდან—2 ს. და 33 წ.,
თბილისში მოდის 7 ს. და 20 წ.

მატარებლები №№ 1 და 2, სწრაა, თბილისსა და ფოთს შუა, ყველა ვაგონების საჯდომი ალაგები დანომრილია. პლაცკარტი ღირს სამგზავრო ბილეთის ფასის გარდა, 20 დან. ყველა ვაგონებში.

მატარებლები №№ 5 და 6—სამგზავროა თბილისსა და ფოთის შუა ყველა ვაგონებში საჯდომი ალაგები დანომრილია, პლაცკარტი ღირს გარდა სამგზავრო ბილეთის ფასის 10 მან. ყველა კლასებში.

მატარებლები № 3 და 4—საფოსტოა თბილისსა და ფოთს შუა პლაცკარტია.

სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—ცენტრალური კომიტეტი.